ხაშურის მოამბე

№8 (39) 29 თებერვალი, ორშაბათი, 2016 წელი

ალინიშნა ლესია უკრაინკას იუბილე

25 თებერვალს, სურამში, ცნობილი უკრაინელი პოეტი ქალის, ლესია უკრაინკას 145 წლის იუბილესთან დაკავშირებით უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ნაზაროვმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა

გიორგი გურასპაშვილმა ლესია უკრაინკას მემორიალი გვირგვინებით შეამკეს. უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი და სხვა უკრაინელი სტუმრები სურამის ლესია უკრაინკას მუზეუმის თანამშრომლებსაც შეხვდნენ და მუზეუმისთვის საჩუქრები გადასცეს. დღევანდელი ღონისძიების ფარგლებში გიორგი ნაზაროვმა უკრაინის პრეზიდენტის სახელით საპატიო მედალი და სიმბოლური საჩუქრები გადასცა მეორე მსოფლიო ომის ვეტერან ირაკლი ხაჩიძეს, რომელიც უკრაინაში იბრძოდა. გარდაცვალების შემდეგ საპატიო მედლით დაჯილდოვდა მეორე მსოფლიო

ომის ვეტერანი გაბრიელ ბითაძეც. ჯილდო მის ვაუს, მამია ბითაძეს გადაეცა. სტუმრებს მიესალმა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი. ღონისძიებას ესწრებოდნენ სურამის ლესია უკრაინკას სახელობის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეებიც, რომლებმაც ლესია უკრაინკას პოეზიის ნიმუშები ქართულ და უკრაინულ ენებზე წაიკითხეს.

სოციალური თემატიკა

სახელმწიფოსათვის თითოეულ მოქალაქეზე ზრუნვა ნომერ პირველი პრიორიტეტია

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფოს მთავარ პრიორიტეტს მოსახლეობისთვის დამაკმაყოფილებელი სოციალური გარემოს შექმნა წარმოადგენს, ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ყოველდღიურად უწევს იმ პრობლემებთან შეხება, რომელიც მათ არსებობას ამძიმებს და ხშირ შემთხვევაში აუტანელსაც ხდის. დაუცველობის განცდა, პრობლემებთან შეგუება - ის ადამიანური თვისებებია, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო, რომელიც დაილექა და ისე ზის ქვეცნობიერში, როცა ჩანს გზა ბრძოლის, პრობლემის გადაწყვეტის, "მაინც არაფერი შეიცვლებაო" აზრი იწყებს მოქმედებას. არადა, ყველაფერს აქვს მიმართულება-ყველა პრობლემიდან გამოსავალი არსებობს- ნაწილობრივი,

(გაგრძელება II გვერდზე)

ინოვაციის ცენტრი ხაშურშიც შეიქმნება

24 თებერვალს, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომადგენლებმა ინფორმაციული შეხვედრა გამართეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან. ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მთავარმა სპეციალისტებმა გიორგი ლალიაშვილმა და გვანცა გრიგალაშვილმა დაწვრილებით ისაუბრეს ინოვაციების ცენტრებზე, რომლების შექმნასაც სააგენტო ცდილობს და მოითხოვს რეგიონის მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას აღნიშნულ ეკოსისტემაში. ინოვაციებისა და ტეგნოლოგიების სააგენტოს უმთავრესი მიზნებია: სტარტაპ ეკონომიკის ჩამოყალიბება, ინვესტორთა საზოგადოების განვითარება და გლობალურ სტარტაპ ეკონომიკაში ინტეგრაცია. სააგენტო მონაწილეობს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ცოდნის ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციასა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშწყობაში. სააგენტოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საზოგადოების ფორმირებისათვის აუცილებელი პროექტებისა და პროგრამების კოორდინირება და წარმართვა. სწორედ აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნით, სააგენტო ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ინოვატორებს, რომლებსაც სურთ საკუთარი იდეები აქციონ ბიზნესად, რაშიც დაეხმარებათ ის ინფრასტრუქტურული პროგრამები, რომელსაც ისინი სთავაზობენ მათ. სააგენტოს აქვს ასევე საგრანტო პროგრამები 5000 ლარიდან 50000ლარმადე დაფინანსებით, სადაც აირჩევენ საკმაოდ მკაცრი წესით გუნდებს, რომლებიც უკეთ ახდენენ საკუთარი იდეების სწორად რეალიზებას და სისრულეში მოყვანას. სააგენტო აქტიურადაა ჩართული ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციების ცენტრების, ინოვაციების ლაბორატორიების, ბიზნეს-ინკუბატორების შექმნასა და მათი განვითარების ხელშეწყობაში. ასეთი ინოვაციების ცენტრების მოწყობის სურვილი სააგენტოს ყველა რეგიონში აქვს, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტშიც, სადაც ახლგაზრდობას საშუალება ეძლევათ იდეების გენერირებისა და საკუთარი ცოდნის ამაღლებისა. საქართველოს განათლებისა და მეცნირების სამინისტრო და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ერთად მუშაობს მეწარმეობის ახალ მოდულზე, რომელიც „ფაბლაბების" –სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების დაფუძნებას გულისხმობს. ლაბორატორიები აღჭურვილი იქნება თანამედროვე, მაღალი ტექნოლოგიებით და კომპიუტერულად კონტროლირებადი ინსტრუმენტებით. „ფაბლაბების" შექმნის მიზანია: მაღალკვალიფიციური, საინჟინრო-კვლევითი უნარების მქონე კადრების მომზადება, მსოფლიო კლასის ინდივიდუალური და ტრადიციული პროდუქტის წარმოების განვითარება, ახალი თაობის სამეცნიერო და საინჟინრო ცოდნის გავრცელების ხელშეწყობა, მაღალი დონის, ინოვაციური ხასიათის ტექნოლოგიური იდეის განვითარება და მისი შემდგომი კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაჩქარება და მისი მდგრადი განვითარება. ეგრეთ წოდებული „ჰაბ ლაბები", რომელიც წარმოადგენს მაღალტექნოლოგიური მანქანადანადგარების ერთობლიობას, ფუნქციონირებს რამდენიმე სასწავლებელში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და სამხატვრო აკადემიაში, სადაც სტუდენტები ახორციელებენ ბიზნეს იდეების რეალიზებას და აქვთ წვდომა ისეთ თანამედროვე ტექნოლოგიებთან როგორებიცაა: 3D პრინტერები, სკანერები, ლაზერული მჭრელები და ა.შ. ასეთი „ფაბლაბების" შექმნა

გაზრდის პროფესიული განათლების ხარისხს და სტუდენტებს და არამარტო, განუვითარებს ისეთ კომპეტენციებს, რომლებიც დაეხმარება მომზადებულ კადრებს ადგილი დაიმკვიდრონ სწრაფად და მუდმივად ცვალებად საერთაშორისო და ადგილობრივ შრომის ბაზარზე. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო რეგიონებში ასევე გეგმავს ინოვაციების ცენტრების ფარგლებში ერთი ფანჯრის პრინციპის დანეერგვას, რომელიც გულისხმობს ერთ სივრცეში – ყველა სერვისს, მაგალითად როგორებიცაა იურიდული, ფინანსური და სხვა საკითხები, ასევე ბუღალტრული მომსახურება, ახალგაზრდა ინოვატორებისათვის ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო ინფორმაციასთან წვდომა, დაკავშირება საჭირო ინვესტორებთან, თავის მხრივ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს ფინანსურ ინსტიტუტებთან და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობას დამატებითი გრანტების და ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასეთი ინოვაციების ცენტრები არსებობს უკვე ხარაგაულში და სოფელ ჭოპორტში, გახსნა იგეგმება ბაღდადში და ზუგდიდში, წარმომადგენლების განცხადებით მსგავსი ცენტრების გახსნა იგეგმება მთელი საქართველოს მასშტაბით (სულ 500-მდე ობიექტი) და დასძენენ, რომ ადგილობრივი თვითმართველობების მზაობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პროექტის განხორციელება.

სააგენტომ ასევე წარმოადგინა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი, კომპიუტერი ყველას და ინტერნეტი ყველა დასახლებულ პუნქტს. საქართველოში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურის გასავითარებლად უპრეცედენტო, მასშტაბური პროექტი იწყება. მის ფარგლებში ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გამოყენებით დაიფარება 2 000-მდე დასახლებული პუნქტი, რომლის

(დასასრული V გვერდზე)

სახელმწიფოსათვის თითოეულ მოქალაქეზე ზრუნვა ნომერ პირველი პრიორიტეტია

(გაგრძელება)

მაგრამ არსებობს. პათეტიკაც ალბათ გენეტიკურია და ამ შემთხვევაში ცოტა ზედმეტიც, მითუმეტეს, როცა საუბარი მოსახლეობის სოციალურ პრობლემებს, მძიმე ჯანმრთელობას,მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს,სხვადასხვა კატეგორიის პენსიონრებს ეხებათ. შეიძლება ჩვენ არცერთ ამ კატეგორიას არ ვეკუთვნით, მაგრამ ვურთიერთობთ და თანავცხოვრობთ-თანავმოქალაქეობთ ადამიანებთან, რომლებიც ცოტა მეტ მზრუნველობას და მხარდაჭრას მოითხოვენ სახელმწიფოს მხრიდან. თუ რა დაცვისა და დახმარების მექანიზმებს ახორციელებს სახელმწიფო, როგორ ზრუნავს დაიცვას სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობა, მათთვის სამუშაო ადგილები შექმნას, ყველაზე ქმედითი სამსახურის, სოციალური მომსახურების სააგენტოს ხაშურის რაიონული განყოფილების უფროსს, **გოჩა ბარბაქაძეს** ვესაუბრეთ:

–სოციალური მომსახურების სააგენტოს ძირითადი ფუნქციაა სოციალური დახმარებები,პენსიები,აკადემიური სტიპენდიები,კომპენსაციები, ჯანდაცვა,ბავშვთა ზრუნვა. სააგენტო მრავალმილიონიანი ხარჯების განმკარგავი სამსახურია, რომელიც მიმართულია მრავალფეროვანი მომსახურებისა თუ დახმარების საჭიროების მქონე ბენეფიციართა სოციალური გასაცემლებით,ჯანდაცვისა და სოციალური სახელმწიფო პროგრამებით მაქსიმალური უზრუნველყოფისაკენ. სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოებით 1/3 სოციალურ პროგრამებზე იხარჯება.

-ბატონო გოჩა, პირველ რიგში, როგორ ხდება სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭება მოქალაქისათვის და რამდენად დიდია სოცაგენტის როლი ამ შემთხვევაში?

–ხაშურის მუნიციპალიტეტში დღევანდელი მონაცემებით 3000-3500 ოჯახზე გაიცემა ფულადი გასაცემელი. ჩვენი უფლებამოსილი პირი, ე.წ. სოციალური აგენტი მოქალაქის(ბენეფიციარის) განცხადების საფუძველზე, ახორციელებს ოჯახში ვიზიტს. ოჯახში ვიზიტის დროს, ჩვენი წარმომადგენელი ინტერვიუს იღებს ოჯახის უფლებამოსილი პირისგან(სრულწლოვანი), ე.წ. დეკლარაციას ვავსებთ იმ პასუხების საფუძველზე, რასაც გვიდასტურებს თავისი ხელისმოწერით. ეს პასუხები შედის პროგრამულად, ყველა კითხვას აქვს თავისი კოეფიციენტი და ერთი თვის განმავლობაში ხდება ქულების გადათვლა. აქ ადამიანის ჩარევის ფაქტორი ნულამდეა დაყვანილი. ძველი წესით, დეკლარაციის შევსების დროს გათვალისწინებული იყო უფლებამოსილი პირის სუბიექტური აზრი. ანუ დეკლარაციის ბოლო გვერდზე იხაზებოდა აგენტის შეფასება, რაც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენდა ქულების დათვლაზე. ახალი კანონმდებლობით, ჩვენი თანამშრომლის სუბიექტური აზრი ამოღებულია, აქედან გამომდინარე, აგენტის მონაწილეობა ქულების დათვლის დროს, განულებულია. თუ რაიმე პრეტენზია არსებობს მოქალაქის მხრიდან, ვაცნობთ მათ მიერ მოწოდებულ და დადასტურებელ დეკლარაციას. დავუშვათ, გვითხრა, რომ იმ რაოდენობის ხელფასი არ აქვს, რაც დეკლარაციაში აჩვენა, ვამოწმებთ შემოსავლების სამსახურში, ავტომანქანის ქონის შემთხვევაში,–საპატრულო პოლიციაში. . ძველი კანონმდებლობით, დეკლარაციაში შედიოდა მიწის ის ფართი, რომელიც მუშავდებოდა, ხოლო ახალი კანონმდებლობით–ოჯახზე რიცხული მთლიანი მიწის ნაკვეთი.

-რამდენადაც ვიცი, შეცვლილია ქულათა დათვლის სისტემაც...

– გასული წლის ივლისის თვიდან სოციალური მომსახურების სააგენტო ახალ მეთოდოლოგიურ დათვლაზე გადავიდა, ახლანდელი მოქმედი კანონმდებლობით არის დიფერენციული გასაცემელი. ადრე ოჯახის ერთ წევრზე გასაცემელის რაოდენობა 60, ხოლო დანარჩენ წევრებზე 48 ლარი იყო. ამჟამად 30000 ქულამდე ფულადი გასაცემელი გაიზარდა 65000 ქულამდე, იყო 57000 ქულიანი ზღვარი, სამედიცინო პოლისი იყო 70000 ქულამდე, რომელიც უცვლელი დარჩა. 30000 ქულამდე ოჯახის ყველა წევრის გასაცემელი 60-60 ლარია, 30000-57000-მდე 50-50 ლარი, 57000-60000 ჩათვლით 40-40 ლარი, ხოლო 60000-65000-ის ჩათვლით არის 30-30 ლარი. დამატებით ამ გასაცემელს ემატება 100000 ქულის ფარგლებში რომელი ოჯახის შეფასებაც მოხდება, ყველა არასრულწლოვან ბავშვზე (16წლის ქვემოთ), 10-10 ლარი სოციალური გასაცემელი. აბსოლუტურად ყველა გასაცემელი ჩვენი სამსახურიდან 2013 წლიდან გაორმაგებულია. თუ მანამდე სოციალური გასაცემლის რაოდენობა 1500 000 ლარი იყო, დღეისათვის 3 მილიონამდე ლარია. ახალი მეთოდოლოგიით, ყველანაირი ტექნიკა ამოღებულია(არ აღიწერება).

-რა ინტენსივობით ხდება სოციალური სტატუსის ქვეშ მყოფი მოსახლეობის შემოწმება?

––როდესაც გასაცემელი თანხების რაოდენობა გავაორმაგეთ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, მათ დიდ ნაწილს აღარ აქვს მუშაობის სურვილი, ან ერთგვარი შიში აქვთ, რომ მუშაობის შემთხვევაში, მოეხსნებათ სოციალური შემწეობა. ერთი წლის განმავლობაში, სრულ გარანტიას ვაძლევთ, (თუ შემოწმების სხვა მიზეზი არ დადგა) არ ვამოწმებთ არც ერთ ოჯახს. ერთი წლის შემდეგ, ვამოწმებთ, გაიზარდა თუ არა კონკრეტული ოჯახის ფინანსური შემოსავალი და არის თუ არა ის ცხოვრებისათვის დამაკმაყოფილებელი და ასე ვწყვეტთ, შევაჩეროთ თუ გავუგრძელოთ სოციალური ფულადი გასაცემელი.

-ჩვენს მუნიციპალიტეტში 25 მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფელია. მათთვის თუ არსებობს რაიმე განსხვავებული ტიპის სოციალური დახმარება ან შეღავათები?

–რაც შეეხება მაღალმთიან სოფლებს, ძალიან კარგი დასაწყისია, რომ ჩვენ დემოგრაფიული გაუმჯობესების მხრივ გვქონდა პროგრამა,რომელიც 2 წელია ფუნქციონირებს, ეს შეეხებოდა იმ რეგიონებს, სადაც შობადობა ნაკლები იყო გარდაცვალებაზე. ეს არ შეეხებოდა შიდა ქართლის რეგიონს. ამჟამად,მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლებში,რომელთა რაოდენობა ჩვენს მუნიციპალიტეტში 25-ია, პირველი და მეორე შვილზე ფულადი დახმარება არის 100 ლარი ერთი წლის განმავლობაში,ყოველი მესამე და შემდეგ შვილზე - 200 ლარი ორი წლის განმავლობაში

-სანამ ჯანდაცვის პროგრამებზე გადავიდოდეთ, სოციალური მომსახურების სააგენტოს არანაკლებ მნიშვნელოვან დასაქმების პროგრამაზე ვისაუბროთ, რომელიც, ამავდროულად, გადამზადების პროგრამასაც გულისხმობს...

–ქვეყანაში მოქმედებს დასაქმების პროგრამა,აქტიურად ვთანამშრომლობთ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან და ე.წ ვაკანსიების საფუძველზე, ვასაქმებთ ჩვენთან უკვე დარეგისტრირებულ და ბაზაში მყოფ სამუშაოს მაძიებლებს. ესაა პროცესი, როდესაც ჩვენ ვამარტივებთ ურთიერთობას დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებლებს შორის. გვაქვს ადამიანური რესურსები, რომლებსაც ვაძლევთ მიმართულებას,მაგრამ აუცილებელია მოსახლების მხრიდან ხელშეწყობა. გვაქვს ერთიანი ბაზა, სადაც სამსახურის მაძიებელთა მონაცემებია თავმოყრილი, შემოვა თუ არა ვაკანსია, ვატყობინებთ მათი შესაბამისი ადამიანური რესურსების გათვალისწინებით. გარდა დასაქმების პროგრამისა, პარალელურ რეჟიმში ვახორციელებთ კვალიფიკაციის მინიჭების და პროფესიების გადამზადების პროგრამებს, ესაა სახელმწიფო პროგრამები, რომელიც ხორციელდება 100%-იანი დაფინანსებით სახელმწიფოს მხრიდან და მათი სურვილის შემთხვევაში, ვამზადებთ და ვაძლევთ პროფესიულ კვალიფიკაციასაც. უახლოესი გადასამზადებელი კოლეჯები და ლიცენზირებული სასწავლებლები ბორჯომში, გორში, ახალციხეშია. ვუზრუნველვყოფთ ტრანსპორტირებით და საცხოვრებლით. ესაა დაახლოებით 55 პროფესია. ჩვენ არ გვაქვს შეზღუდვა უკვე დასაქმებულ ადამიანებზე. მაგალითად, განათლებით იურისტს შესაძლებელია ჰქონდეს სურვილი სხვა კუთხითაც გააგრძელოს საქმიანობა. ესაა დასაქმების პროგრამა, რომელიც არის ბევრი პრობლემიდან გამოსავლის ყველაზე ეფექტური საშუალება, რომელიც მნიშვნელოვანია ნებისმიერი განვითარებადი ქვეყნებისათვის.

-ოპოზიციური ძალებიც კი თანხმდებიან იმაზე, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ჯანდაცვის სფერო ყველაზე წარმატებულია. მოსახლეობის ყველა ასაკობრივ კატეგორიას შეუძლია ისარგებლოს საყოველთაო ჯანდაცვის სიკეთით, ხოლო ქრონიკული და მძიმე დაავადებების შემთხვევაში უფასო მედიკამენტებით...

–საყოველთაო ჯანდაცვა ყველაზე წარმატებული პროექტია. ძალიან ბევრი ევროპული ქვეყნებისთვის, ჯანდაცვის ის პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს, სანატრელი და სასურველია. არ შეიძლება არ აღინიშნოს „ც“ ჰეპატიტის პროგრამა. შემოვიდა ახალი პრეპარატი, რომლის ღირებულება 110 000 ევროა, რაც ჩვენი მოქალაქეებისათვის აბსოლუტურად უფასო იქნება, რომელიც ბოლო ინფიცირებულის არსებობამდე იქნება ხელმისაწვდომი. ვინც ამ პროგრამით ისარგებლა, საკმაოდ კმაყოფილია. ანალიზის შესაბამისად, კონკრეტულ კლინიკებს ვუთითებთ მკურნალობის დასაწყებად. ერთ-ერთი კრიტერიუმი რიგითობაა. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დაავადების სიმძიმის მიხედვით დაიწყო პაციენტების მკურნალობა. „ც“ ჰეპატიტიზე ანალიზების გაკეთებაც უფასოა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის. ნებისმიერ მოქალაქეს 70% სახელმწიფო, ხოლო დარჩენილ 30%-ს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, თვითმმართველობა უნაზღაურებს. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, კი აბსოლუტურად უფასოა. ამჟამად მიმდინარეობს ძუძუს კიბოს უფასო მკურნალობა. დაავადებების გამოკვლევა, აბსოლუტურად უფასოა, ჩვენდა სამწუხაროდ, მომართვიანობა ამ მხრივ ძალიან დაბალი – 7%-ია. ასევე, არსებობს დიაბეტიანებისთვის ინსულინის პროგრამა. გაუმჯობესდა დიალეზით მოსარგებლეთა მდგომარეობა, აგარაში გაიხსნა დამატებით დიალეზის მომსახურების ცენტრი, რომელმაც გაადვილა მომსახურება.

-ხაშურში ორი მცირე საოჯახო სახლია, რომლის მონიტორინგსაც სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს. რა შემთხვევაში ხდება ბავშვის ასეთი ტიპის სახლებში გადაყვანა?

–დიახ, ამჟამად ორი მცირე საოჯახო ბავშვთა სახლი ფუნქციონირებს, თითო გათვლილია 10 ბავშვზე და აუცილებელია იყოს ერთი თავისუფალი ადგილი, გადადებელი შემთხვევისათვის. ჩვენ გვყავს ბავშვები, რომლებსაც არ ჰყავთ მზრუნველ დედ-მამას, შეზღუდული ან ჩამორთმეული აქვთ მშობელთა უფლებები ან გარდაცვლილები არიან. ადრე 4 მცირე საოჯახო სახლი იყო, ორი დაიხურა, რადგან ბენეფიციარები არ იყვნენ. ჩვენ, ძირითადად, ამოვდივართ ტერიტორიული სიახლოვის პრინციპით, ბავშვს შეიძლება არ ჰყავს მშობლები, მაგრამ ჰყავს ნათესავები, რომლებთან კონტაქტი და ურთიერთობა მნიშვნელოვანია მათთვის. მაქსიმალურად ვცდილობთ ოჯახური გარემო შევქმნათ, ერთ-ერთი პრინციპი ამ სისტემაზე გადასვლის ეს ფაქტორიც იყო. ჩვენ მათ მივეცით შესაძლებლობა ოჯახურ გარემოში აღზრდის, რათა სრულფასოვნად იგრძნონ თავი. გვაქვს ნათესაური მინდობით აღზრდის რეინტეგრაციის და მინდობით აღზრდის პროგრამაც. თავდაპირველად მსურველები რეგისტრირდებიან მიმღებ ოჯახებად, ჩვენი აგენტები განიხილავენ მათ მდგომარეობას. დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ვარეგისტრირებთ მიმღებ მშობლად. ყველა ჯანმრთელ ბავშვზე მიმღები ოჯახის გასამრჯელო ყოველთვიურად 450 ლარი, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ინვალიდ ბავშვებზე 600 ლარია.

-ბავშვთა შვილად აყვანის მსურველთა რაოდენობა რამდებად დიდია და რა პროცედურების გავლა უწევს მშვილებელს?

–ბავშვთა შვილად აყვანის მსურველი გაცილებით მეტია, ვიდრე რეალურად ბავშვთა რაოდენობაა. ჩვენს სისტემაში დაცულია რიგითობა. შესაბამისად, ვინ როდის მოგვმართა, იმის მიხედვით ხდება დაკმაყოფილება. იყო რამდენიმე შემზარავი ფაქტი ბავშვის ქუჩაში, ნაგვის ურნაში და მიწისქვეშა გადასასვლელში დატოვების, რომელიც სიკვდილით დასრულდა. მერწმუნეთ, ბევრი ბიოლოგიური მშობელი ვერ ზრუნავს ბავშვზე, როგორც სახელმწიფო. იმ მომენტიდან, როდესაც ბავშვი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ ექცევა, ზრუნვა ხორციელდება აბსოლუტურად ყველა კუთხით, იქნება ეს სამედიცინო, საგანმანათლებლო თუ სხვა ტიპის საჭიროებები. დღევანდელი კანონმდებლობა ითვალისწინებს და უშვებს ისეთ შედავათებს, როცა ბიოლოგიური მშობელი მოდის, გამოთქვამს სურვილს, რომ უნდა მისი შვილი გაზარდოს სხვა ადამიანმა, ვაცნობთ და ვთავაზობთ სახელმწიფო პროგრამებს, რომელიც დაეხმარება მას, დროებით შევუჩეროთ მშობლის სტატუსი, სანამ მოძლიერდება ფინანსურად, რომ ჩვენ ვუზრუნველვყოფთ მისი შვილის გაზრდას,ვთავაზობთ სამსახურს,ჩართულია სოც. სამსახური,იურისტი. გვაქვს ბავშვთა კვების პროგრამა, კრიზისული ოჯახების პროგრამა, პირველად მოხმარების საგნებს გადავცემთ ბენეფიციარებს. მუდმივი კავშირი გვაქს საქართველოში არსებულს სხვადასხვა ტიპისა და საჭიროების სახლებთან და თავშესაფარებთან(დედათა და ბავშვთა, მოხუცთა თავშესაფარი). არსებობს ელექტრონული შიდა ქსელი, სადაც ყველა განყოფილებას გვაქვს წვდომა და განსაკუთრებული შემთხვევის დროს, მომენტალურად ვახდენთ გადასამისამართებას.

_უახლოეს მომავალში ხომ არ იგეგმება ხაშურში , სოციალური კუთხით, რაიმე ტიპის ცენტრის გახსნა?

–შესაძლებელია ჩვენს მუნიციპალიტეტში დღის ცენტრი გაიხსნას, სადაც იქნება დღის მომსახურება ქუჩაში დარჩენილი, ან რისკის მქონე ბავშვებისათვის. ბავშვებს მიეცემათ იმის შესაძლებლობა, რომ სკოლიდან გამოსვლის შემდეგ, მიიღოს საკვები, იყოს თბილ გარემოში. სურვილის შემთხვევაში ისწავლოს ხელსაქმე ან გაიაროს კომპიუტერული კურსი, რაც გამოადგება შემდგომ ცხოვრებაში. წელს მიდის საბუთების მოწესრიგება, ტექნიკურ მხარეებზე შეთანხმება.

-როგორ ხდება ინვალიდობის კატეგორიის განსაზღვრა და შესაბამისი პენსიის დანიშვნა?

–ინვალიდობის კატეგორიის განსაზღვრას სამედიცინო კომისია-ექსპერტიზის ბიუროები ახდენენ. ამ მხრივ ჩვენს მოსახლეობას გარკვეული დისკომფორტი აქვთ,რადგან ბორჯომში ან გორში უწევთ წასვლა. საექსპერტო ბიურო განუსაზღვრავს ინვალიდობის კატეგორიას, პირველ ჯგუფი მკვეთრად გამოხატული,

(დასასრული V გვერდზე)

ეროვნული დამოუკიდებლობა და ეროვნული იდეოლოგია

ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა ერმა მძიმე შრომით და ბრძოლით, ჭირნახულივით უნდა მოიპოვოს და მოიწიოს. შესაბამისად, უნდა შემუშავდეს განვითარების ეროვნული პროგრამები, რომლებიც ეროვნულ იდეოლოგიას უნდა დაეფუძნოს (როგორც ეს მოხდა ისრაელში სიონიზმის სახით).

ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობა ზემოდან ებოძა - საბჭოთა კავშირის უეცარი დაშლის შედეგად, ამიტომ ერი თითქმის მოუმზადებელი შეხვდა ასე ნანატრ დამოუკიდებლობას - ჩვენ გავხდით დამოუკიდებელნი, მაგრამ არა თავისუფალნი. დღემდე არაა შემუშავებული განვითარების ეროვნული პროგრამა, ეროვნული იდეოლოგია. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

სამოქალაქო დაპირისპირება და კანონიერი ხელისუფლების დამხობა 1992 წელს, 2003 წელს, პერმანენტული კრიზისები და რევოლუციური სიტუაციები;

დამარცხება ცხინვალის და აფხაზეთის კონფლიქტებში, რამაც გამოიწვია ერის სულით დაცემა, ანარქიის და უზნეობის მომძლავრება;

1990 წლიდან თითქმის დღემდე ქუჩიდან მოსული ადამიანების, არაპროფესიონალების მართვა-გამგეობა, რამაც ქვეყანა ილიას და ნიკოლაძის გზას ააცდინა.

ჩვენ დიდი მოხერხება გამოვიჩინეთ ძველის ნგრევაში, მაგრამ ახლის შექმნას ვერ ვახერხებთ - შენობის აგებას საძირკველის გარეშე ვაპირებთ და ისიც მალე ინგრევა ქარიშხლისა თუ ავდრის შემთხვევაში, კრიზისის დროს.

ასეთ ვითარებაში სხვისი მოიმედეობა და აზიური ინერტულობა, იოლი გზით სიარული კვლავ იქცევა ქართველი ხალხის ნორმალური განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად. არადა „ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისთვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას... უცხოელი ძიძა, რაგინდ სადი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს“ (ნიკო ნიკოლაძე).

როცა ერს არა აქვს ეროვნული იდეოლოგია, აღმშენებლობის პროგრამები, მაშინ მისი სამთავრობო და პოლიტიკური წრეები (შეგნებულად თუ შეუგნებლად) ინტუიციურად ირჩევენ გლობალურ და ლოკალურ (ადვილად მოსაგვარებელ) მიზანთა სისტემას და თითქმის მთლიანად ექცევიან უცხოელთა გავლენის ქვეშ, საიდანაც თავის დაღწევა ძალზე რთული ამოცანაა.

ეროვნული იდეოლოგია ყალიბდება შეხედულებათა 10 სისტემის სახით. ესენია: ეკონომიკური, დემოგრაფიული, ზნეობრივი, სამართლებრივი, რელიგიური, კულტურის, ფილოსოფიური, ეროვნული ცნობიერება, ეკოლოგიური, პოლიტიკური.

ამ მთლიან მაჩვენებელთა სისტემას მიხაკო წერეთელი უწოდებდა „ერის იდეალს“. დღეს ამ სისტემებიდან საქართველოში თითქმის არც-ერთი არ მუშაობს ან კრიზისს განიცდის.

მხოლოდ პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმებით ქვეყნის აღმშენებლობა და ცხოვრების სრულყოფა შეუძლებელია: რელიგიური მრწამსის (ოღონდ ჭეშმარიტი და არა ფარისევ უღი), ზნეობისა და ჯანსაღი ეროვნული ტრადიციებისაკენ ქართული საზოგადოების შემობრუნების გარეშე ძლიერი სახელმწიფოს შექმნა წარმოუდგენელია.

საზოგადოების თვითაღზრდა და თვითგანწმენდა, კულტურის და ზნეობის ამაღლება, პიროვნების საკუთარი ცხოვრების გააზრებიდან საზოგადოებრივი ცხოვრების გააზრებაზე ასვლა, პიროვნული მსხვერპლის გაღება ეროვნული იდეალებისათვის მხოლოდ თითოეული მოქალაქის რწმენის გაძლიერების და სულიერი გასუფთავების შედეგია.

ჩვენი გონიერი და ბრძენი წინაპრები გვასწავლიდნენ, რომ “ხალხის განვითარება და გაძლიერება ყოვლად შეუძლებელია ეროვნული პრინციპების გარეშე... ერი თავისებური კოლექტიური აგებულებაა, თავისებური კოლექტიური პიროვნებაა. ამიტომ მისი აღორძინება შეიძლება მხოლოდ თავისებური ეროვნული გზით. ისტორიაში ვერ მოძებნით ისეთ მაგალითს, რომ ერს ეღალატოს თავისი ეროვნებისათვის, ეროვნული კულტურისათვის და არ გახრწნილიყოს, არ აღმოფხვრილიყოს... ძალ-ღონე ყოველის ერისა უმთავრესად დამოკიდებულია ეროვნულის, მამულიშვილურის გრძნობის განვითარება-გაღონიერებაზე. სადაც ეს ცენტრალური გრძნობა სუსტია, იქ ხალხი უძლურია“ (იაკობ გოგებაშვილი).

ჩვენს დიდ წინაპრებს ძალიან მცირე პირადი მოთხოვნილებები და უდიდესი იდეალი ასულდგმულებდათ. ეს იდეალი იყო საქართველოს დიდება და ქვეყნის უანგარო სამსახური. თითოეული მათგანი მზად იყო ქვეყნის საკეთილდღეოდ სამსხვერპლოდ მიეტანა თავისი ოჯახი, ქონება და სიცოცხლეც კი (ო.ქოჩორაძე).

ქართული ცხოვრების წესის მთავარი ხერხემალია „ქართველობა“, როგორც უნიკალური ფენომენი, რომელიც შეიძლება შევადაროთ გრაალის თასს, სადაც საუკუნეთა განმავლობაში წვეთობით გროვდებოდა ერის სულიერი და ხორციელი ცხოვრების შემაკავშირებელი დუღაბი.

საზოგადოებაც და ხელისუფლებაც ღრმად ეროვნული და ზნეობრივი უნდა იყოს. წინაპართა გონივრული ტრადიციების გარეშე არ არსებობს არც ეროვნული სული, არც ეროვნული ცნობიერება და არც ცივილიზაციის მიღწევები.

ქართული ცხოვრების წესის სხვა უმნიშვნელოვანესი ფასეულობებია: სამშობლოს შეგნებული სიყვარული, ღვთისმოშიშობა და ზნეობრიობა, მუშაკობა - როგორც სოციალური ნორმა, ოჯახის და ოჯახიშვილობის კულტი, სამართლიანობა და ღირსება, კაცთმოყვარეობა და ჰუმანიზმი, ავკარგიანობა, მადლის ქმნისა და მიტევების ნიჭი, ბავშვების, ქალების და მოხუცების მიმართ მოწიწება და პატივისცემა, მათზე ზრუნვა და მონანიების უნარი, მხედრული მოვალეობა და სიმამაცე, ცოდნის მიღებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა, თვითკრიტიკულობა, პასუხისმგებლობა, კაცის კაცობა და ქალის ქალობა, მშობლიური ენის სიყვარული და პატივისცემა, კარგი მეზობლობა და მეგობრობა და ა.შ.

მხოლოდ ამ გზით შეიქმნა ის ძლიერი, დავითის საქართველო, რომელზე ნოსტალგიაც დღესაც გვკლავს და არ გვასვენებს.

სამწუხაროდ, ყოველივე ზემოჩამოთვლილი, ყველაფერი, რაც ქართველმა ხალხმა საუკუნეთა სიღრმეში შეიმუშავა და ათას ჭირვარამგამოვლილი დღემდე შეურყევლად მოიტანა, გლობალიზაციის (გაერთფეროვნების) მცირე ერებისათვის დამანგრეველი პროცესებისა და ჩვენი დაუდევრობის შედეგად, თითქმის დაშლის პირასაა.

დღევანდელი ქართული საზოგადოება - ესაა ანარქიულ-ნერვოზული საზოგადოება - უამრავი თავსდატეხილი პრობლემა, ცხოვრების გიჟური რიტმი, საშინელი კონკურენცია, გაზრდილი მოთხოვნები, გადაღლა, მღელვარება, სოციალური დაპირისპირება და პოლიტიკური ბრძოლის მიუღებელი მეთოდები, ადამიანთა გამოფიტვა და ჯანმრთელობის აღდგენის შეუძლებლობა, ძალადობის და შიშების ზრდა, პათოლოგიური ტიპების მომრავლება, დაუნდობლობა, ელიტის ზნეობრივი დეგრადაცია, დაუცველობა და სამართლიანობის დიდი დეფიციტი, განუკითხაობა, უღირსთა პარპაში და ყველაფრისადმი და ყველასადმი მომხმარებლური დამოკიდებულება, დემოგრაფიული და ტერიტორიული პრობლემები, 300 ათასი დამცირებული ლტოლვილი და დევნილი, ქალისა და კაცის ფუნქციების აღრევა და ა.შ. აი, ამ შტრიხებით ხასიათდება 21-ე საუკუნეში ჩვენი საზოგადოება.

ასე ცხოვრება აღარც შეიძლებოდა და ვეღარც მოხერხდება! 2012 ჭ Iშ 1 ოქტომბრიდან ერის ცხოვრებაში გარკვეული შემოტრიალება დაიწყო.

„მთელი არმიების შემოსევა შეიძლება შეაჩერო, მაგრამ არა ის იდეები, რომელთა დროც უკვე დადგა“ - უთქვამს ვიქტორ ჰიუგოს.

როგორ ჩავბეროთ ახალი სული საქართველოს, როგორც ეს თავის დროზე წარმატებით შეძლო დავით აღმაშენებელმა? დღევანდელ ვითარებაში ქვეყანას მხოლოდ ერთი ადამიანის ძალისხმევა ვეღარ უშველის. ერის ისტორიული მეხსიერება და კოლექტიური აზროვნება ერთი მიზნისკენ უნდა წარიმართოს - როგორ მოუაროს ხალხმა თავის ქვეყანას და თავის თავს? გათითოკაცებულმა ერმა კოლექტიური აზროვნება, კოლექტიური გადაწყვეტილების მიღება და კოლექტიური ქმედებაც უნდა ისწავლოს. უნდა შექმნას ეროვნული იდეოლოგიის ათივე ქვესისტემა და დაიწყოს მისი პრაქტიკაში განხორციელება. ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა უკვე ჩატარებულია ქართველ მწერალთა და მეცნიერთა (ი. ჭავჭავაძე, ნ.ნიკოლაძე, ა.ჯორჯაძე, გ. ასათიანი, ჯ. ღვინჯილია, პ. იაკაშვილი, ო.ქოჩორაძე, ა.გასვიანი, ვ.შუბითიძე და სხვ.) ძალზე მისასალმებელია, რომ ეს მუშაობა გააქტიურდა XXI საუკუნიდან ქართველი მოაზროვნეების ემზარ ხვიჩიას და ვასო კუკუნაშვილის სერიოზულ ნაშრომებში და ქმნილებებში (ემზარ ხვიჩია “ქართული ერი და მსოფლიო ცივილიზაცია“ თბ; 2004, ვასო კუკუნაშვილი „ჯვარ-პატიოსანი (თბ; 2009). აქამდე ქართველ მოაზროვნეებს არ შემოუთავაზებიათ ის სქემა და მოდელი, რომლითაც დავით აღმაშენებელმა შეძლო საქართველოს აღდგენა მკვდრეთით. ეს საინტერესო მცდელობა განახორციელა ვასო კუკუნაშვილმა, რომელმაც ორიგინალური თვალსაზრისი შემოგვთავაზა ამ კუთხით. მის მიერ მიმოქცევაში შემოტანილი „დიდი სამოქალაქო ზნეობრივი კანონი“ ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას, კრიტიკულ გაანალიზებას და ხორცშესხმას ახალი, თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით. ეს ყველაფერი საფუძვლად შეიძლება დაედოს ეროვნული იდეოლოგიისა და მისი ყველა ათივე ქვესისტემის შექმნას სხვათა შენიშვნების და დასაბუთებული მოსაზრებების გათვალისწინებით.

ვინაიდან გლობალიზაციის პროცესი ამიერიდან მუდმივ ხასიათს ატარებს და არსებობს ერებისა და ეროვნული კულტურების ნიველირების სერიოზული საშიშროება, ამიტომ გლობალური კულტურულ-ზნეობრივი კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი საშუალებაა გლობალიზაციის იდეოლოგიის ისეთი უნივერსალური მოდელის შექმნა, რომელიც თავისი არსით იქნებოდა რა მოძღვრება საბაზო სულიერ და ზნეობრივ ღირებულებათა შესახებ, მსოფლიოში არსებულ სხვადასხვა ეროვნული და რელიგიური წარმომავლობის წარმონაქმნებს მისცემდა ისეთი თანასწორუფლებიანი თანაარსებობის საშუალებას, რომ თითოეული მათგანის ინდივიდუალური, ეროვნული თუ რელიგიური სახე ყოფილიყო შენარჩუნებული.

სწორედ ასეთი მოძღვრების შექმნის საინტერესო მცდელობაა ვასო კუკუნაშვილის აღნიშნული ნაშრომი. ავტორმა მას უწოდა „გლობალიზაციის იდეოლოგიის იბერიულ-ქართული მოდელი ანუ დიდი სამოქალაქო ზნეობრივიკანონი“, ეს მოძღვრება შეიძლება გამოდგეს ქართული ეროვნული იდეოლოგიის საძირკველად, ონჩჩად, რომელსაც ყველა კუთხით ხორცი უნდა შეესხას.

ჯერ კიდევ 2004 წლის 28 ნოემბერის თავის ერთ-ერთ ქადაგებაში საქათველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ხაზგასმით ამბობდა, რომ „აუცილებლად, რაღაც ისეთი იდეა უნდა გვქონდეს ერს, ხელისუფლებას, ეკლესიას, რომელსაც გაჰყვება ჩვენი ერი, რომელსაც ხელში აიტაცებს, როგორც ძვირფას საუნჯეს და ამით შეაბიჯებს მომავალში“. ვასო კუკუნაშვილის ეს ნაშრომიც და ისტორიული რომანიც „ჯვარ-პატიოსანი“ სწორედ პატრიარქის ამ სიტყვების შთაგონებითაა შექმნილი.

ამ მოძღვრების პრაქტიკაში დანერგვით მნიშვნელოვანწილად შეიძლება თავიდან იქნას აცილებული მცირერიცხოვანი ერების ასიმილირების საფრთხე, მათ შეიძლება გაეხსნათ თვითდამკვიდრების ახალი საშუალებანი.

დიდი სამოქალაქო ზნეობრივი კანონი არის მოძღვრება ერების სამოქალაქო ცხოვრების მოწყობის პრინციპების შესახებ, რომელიც ისე განსაზღვრავს და წარმართავს როგორც ერის (საზოგადოების) შიდა, ისე ერთაშორის (საზოგადოებათშორის) ურთიერთობებს, რომ არც ერთი მათში მონაწილე ეროვნული საზოგადოების ეთნო-კულტურულ თვითმყოფადობას, მიუხედავად მისი ეროვნული წარმომავლობისა და რელიგიური კუთვნილებისა, არავითარი შეზღუდვა არ მოელის.

ამრიგად, მას საერთაშორისო, უნივერსალური ხასიათი და მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი შინაური და განსაკუთრებით გარე მტრები ცდას არ აკლებენ, რომ ქართველობა დაანჩოქონ და ამის პირველი საშუალებაა ის, რომ წაიშალოს ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა, ტრადიციები, ადათები, ყოველივე ის, რაც შეადგენს „ქართველობის“ ხერხემალს. თუ ჩვენ სხვებს დავემსგავსებით, მათში ავითქვიფებით., მაშინ აზრს დაკარგავს ისეთი ცნებები, როგორიცაა „საქართველო“, „სამშობლოს სიყვარული“, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა“, „დედა-ენა“, „დედა-ეკლესია“ და ა.შ.

ეროვნული თვითმყოფადობის განმსაზღვრელია ეროვნული თვითშეგნება, რომელიც, როგორც ხედვათა ერთობლიობა, აგებულია გარკვეულ სულიერ ღირებულებათა სისტემაზე. ერის ამოცანაც სწორედ იმ სულიერი ღირებულებების სწორი მიმართულებით განსაზღვრაში და გამოყენებაში მდგომარეობს, რომლებიც იმთავითვე ქმნიდნენ და დღესაც ქმნიან ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას. ამ სულიერ ღირებულებათა განმსაზღვრელნი იყვნენ, არიან და იქნებიან ნამდვილი ქართველი მამაკაცები და დედაკაცები. ქალაჩუნების, ჰომოსექსუალისტებისა და ლესბოსელების მიერ აშენებული ქვეყანა ჯერაც არავის უნახავს.

ეკუმენიზმისაგან განსხვავებით დიდი სამოქალაქო ზნეობრივი კანონის მოძღვრება მსოფლიო ერთღმერთიანობას კი არ ქადაგებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ხატავს საზოგადოების სამოქალაქო ცხოვრების პრინციპთა ისეთ ერთობლიობას, რომლის უარყოფაც მათი თვალნათელობისა და გასაგებობის, სიმარტივის გამო თითოეულის მიერ შეუძლებელია.

გლობალიზაციის ეპოქის მიერ ჩვენს წინაშე წამოჭრილი გლობალური ამოცანის ამოხსნა, ასევე, გლობალური შეიძლება იყოს თავისი განსაზღვრებებით და, ბუნებრივია, მისი არსებობა შეიძლება ვეძიოთ მხოლოს იმ სიღრმეებში, საიდანაც იგი წარმოიშვა.

ამ აზრით, წინამდებარე ნაშრომის მიხედვით ქართულ-იბერიული კულტურის ღრმა შრეების შესწავლა ნიშნავს, გარკვეულწილად, ყოველი ერის მიერ თავისი დასაბამის და არსის შეცნობას იმ მთავარი პირველსაწყისისას, რომლის გარეშეც არ არსებობს არც ერთი ერი და რომელზედაც დაშენებულია შემდგომი კულტურული შრეები. ამგვარი გაგებით ქართული კულტურა ავტორის მიერ განიხილება მსოფლიო ცივილიზაციის უნიკალურ ნაკრძალად, რომელშიც ჯერ კიდევ შემორჩენილია საერთაშორისო საზოგადოების შემადგენელი თითოეული წევრი ერისა და ეთნოსის არსებობის რეალური ყოფნის და ფუნქციონირების საწყისი ფორმულა.

შესაბამისად, ამ ნაშრომის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ის, რომ თემა იბერიულ-ქართული კულტურის არსის შესახებ იქცეს საერთაშორისო მეცნიერული კვლევის, ანალიზისა და დისკუსიის საგნად.

ავტორი სამართლიანად სვამს კითხვას, რომ თუ ცივილიზაციის ისტორია და ღვინის წარმოება ქრონოლოგიურად ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო ღვინის წარმოების სამშობლოდ საქართველო ითვლება, მაშინ განა ლოგიკური არ არის დასკვნა იმის შესახებ, რომ ცივილიზაციის ისტორიის პირველწყაროდ, გარკვეულ საწყისად თავად ქართული კულტურა გვევლინება?

ამის მერე მკითხველმა უნდა განსაჯოს, რა უფრო მისაღებია ჩვენთვის - ბრმად გადმოვიღოთ დასავლეთიდან ის სულიერი (ხანდახან ძალიან საეჭვო და დაბალზნეობრივი) ღირებულებები, რომლებსაც ის გვთავაზობს და რომლის გარკვეული ნაწილი ამა თუ იმ ფორმით, სავარაუდოდ, მას ჩვენგან აუღია, თუ პირიქით, გამოვიკვლიოთ და გავიცნობიეროთ ის უდიდესი საგანძური ადამიანური კულტურის არსებობისა, რომელიც ჩვენს თანამედროვე ქართულ კულტურაში არსებობს და იქით შევთავაზოთ დასავლეთს, რომელსაც თავად გასჩენია პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია კულტურის და ზნეობრივ კრიზისთან?

ჩვენ ვიზიარებთ ავტორის დასკვნას იმის შესახებ, რომ ჩვენი ერის კულტურულ-ინტელექტუალური პოტენციალი არის ის უმნიშვნელოვანესი ქართული პროდუქტი (საბაზრო ეკონომიკის გაგებით), რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება მსოფლიო კულტურულ-ეკონომიკურ ბაზარზე.

ჩვენ ასევე სრულად ვიზიარებთ ვასო კუკუნაშვილის თვალსაზრისს, რომ „თუ დაფერდდა და დააფრაკდა ზნეობა, და, შესაბამისად, დაყრუვდა და დამუნჯდა ერი, გადამხვეველი სამოქალაქო ზნეობრივი კანონის აღსრულების გზიდან, კანონი, რა ლამაზი და მშვენიერიც არ უნდა იყოს იგი, შერმყვნელია და არა მომწესრიგებელი ხალხის თანაცხოვრებისა. როგორც კი გადაუხვევს სამოქალაქო ზნეობრივ კანონს, ეგრევე თავისი ხორცის მომსახურე და მონა ხდება ერი, და, შესაბამისად, ლაჩრობობითა და სიმხდალით აღივსება... თავკაცი ერით უნდა იყოს ძლიერი, ხოლო ერის გარეშე ერთი კაცის ზღვარგადასული სიძლიერე პირდაპირი ნიშანია ერის სისუსტისა და მისი არაბრძნულ მდგომარეობაში ყოფნისა. და იგი ბრალია არა იმ კაცისა, არამედ მთელი ერისა. მონა დუმს თავისი ერის უხამსობისა ზედა, ხოლო თავისუფალი მოქალაქე ითხოვს არაშელახვას ღირსებისა. ვიყოთ არა მონები, არამედ მოქალაქენი და ვუპატრონოთ ქვეყანასა ჩვენსა. ჩვენ თითოეულს გვაქვს ვალი წინაშე უფლისა და წინაშე ჩვენი ქვეყნისა, რომლის მსახურება უმთავრესი მოვალეობაა“ („ჯვარ-პატიოსანი“).

ვაჟა შუბითიძე

ეკონომიკური ზრდა

ეკონომიკური ზრდა არის რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა,მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. მას განაპირობებს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული ზრდა. ეკონომიკური ზრდა არ ნიშნავს მდგრად განვითარებას. იგი ისეთ პოლიტიკაზეა დაფუძნებული, რომელიც ინარჩუნებს და აფართოებს ბუნებრივი გარემოს რესურსების ბაზას და ასევე მეტ-ნაკლებად ტოლფასად ანაწილებს ზრდის შედეგებს მოსახლეობაზე. ეკონომიკური ზრდა განსაზღრავს ქვეყნის ცხოვრების დონეს დროის სხვადასხვა პერიოდში და გვიჩვენებს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს,განვითარებას. მაშასადამე,ეკონომიკური ზრდა ცვალებადი მაჩვენებელია .ყოველ წელიწადში. ყოველი ქვეყნისთვის ის თანაბარი ვერ იქნება.რაც უფრო მეტია საქონლისა და მომსახურების წარმოება ქვეყანაში, მით უფრო მეტია ცხოვრების დონე,ესე იგი მეტია ეკონომიკური ზრდა. მაშასადამე, ეკონომიკური ზრდა მიიღწევა არსებული რესურების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებით.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქვეყნების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სწრაფად მზარდ ქვეყნებს უმეტესად აზიის სახელმწიფოები მიეკუთვნებიან. მაგალითად: სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაილანდი, იაპონია, ჩინეთი, ინდონეზია. საყურადღებოა, თუ რა საერთო მახასიათებლები ჰქო ნდა ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას.ზემოთ ჩამოთვლილი სწრაფად მზარდი ქვეყნე ბის მთავარი საერთო თავისებურება წარმოების დივერსიფიკაციის (წარმოების დანაწილება) მაღალი მაჩვენებელია. იან იმბისა და რომან ვოზიარის კვლევის მიხედვით, სწრაფად მზარდ ქვეყნებს ახასიათებს შებრუნებული ლათინური "U"-ს ფორმის სექტორული კონცენტრაციის ტენდენცია. განვითარების საწყის ეტაპებზე ეკონომიკა დარგების მხოლოდ მცირე ჩამონათვალით შემოიფარგლება. პროცესში კი დივერსიფიკაცია იზრდება და შემდგომ კვლავ მცირდება, რაც კონკურენტული უპირატესობის გამოვლენის მიზნით ახალი დარგების მოსინჯვის შედეგია. კონკურენტული დარგების აღმოჩენის შემდეგ ქვეყნები კვლავ სპეციალიზდებიან. საინტერესოა, თუ რა უწყობს ხელს ბის მოსინჯვის შედეგია. კონკურენტული დარგების აღმოჩენის შემდეგ ქვეყნები კვლავ სპეციალიზდებიან. საინტერესოა, თუ რა უწყობს ხელს მსგავს დივერსიფიკაციას. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილია ზემოხსენებული სწრაფად მზარდი ქვეყნების ბოლო წლების ყველაზე მსხვილი საექსპორტო კატეგორიების განხილვა. პრაქტიკულად ყველა ასეთი სექტორი არა ტრადიციულია. მათი განვითარების შესწავლა აჩვენებს, რომ თითქმის ყველა ამ მიმართულების აღმოჩენა და ზრდა დიდწილად განაპირობა სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართულმა წახალისების პოლი-ტიკამ. ნიშანდობლივია, რომ აზიის აღნიშნული ქვეყნების საექსპორტო პროდუქტების კომპოზიცია ისტორიულად მაღალი დინამიკურობით ხასიათდებოდა. კერძოდ, თუ სადღეისოდ ეკონომიკის სტრუქტურაში მანქანათმშენებლობა და სამომხმარებლო ელექტროტექნიკა ჭარბობს, 1960-1980-იან წლებში ძირითადად მძიმე და მსუბუქი მრეწველობის მრავალფეროვანი პროდუქტები ლიდერობდა,რადგან სწორედ ეს დარგები წარმოადგენდა სახელ მწიფოების მიერ იმ დროისთვის შერჩეულ პრიორიტეტებს.

სწრაფად მზარდი ქვეყნების წამყვანი საექსპორტო პროდუქტები (ბუნებრივი რესურსების გარდა):

ჩინეთი	ელ. ტექნიკა	ტექსტილი	ავეჯი	ავტომობ./ ნაწილები	გემები
სინგაპური	ნახევარგამტარები	ნავთობ-პროდუქტები	კომპ. ტექნიკა	ქიმიკატები	მექან. ნაწილები
ინდონეზია	მიკროსქემები	ელ. ტექნიკა	ნახევარგამტარები	მეტალ. პროდუქტები	ავეჯი
მალაიზია	მცენ. ზეთები	ელ. ტექნიკა	საბეჭდი საშუალებები	ტექსტილი	ავტომობილები
სამხრეთ კორეა	ელ. ტექნიკა	ავტომობილები	გემები	მეტალ. პროდუქტები	ნავთობ-პროდუქტები
იაპონია	ავტომობილები	ელ. ტექნიკა	მეტალ. პროდუქტები	გემები	ქიმიკატები
ვიეტნამი	ტექსტილი	ელ. ტექნიკა	ავეჯი	ხილი / მარცვლეული	ხორცპროდუქტები
ტაილანდი	ავტომობ./ ნაწილები	კომპ. ტექნიკა	ნავთობ-პროდუქტები	მეტალ. პროდუქტები	ხილი / მარცვლეული
ირლანდია	ორგანულიქიმიკატები	მედიკამენტები	სამედიცინო ტექნიკა	პარფიუმერია	კომპ. ტექნიკა
პორტუგალია	ავტომობ./ ნაწილები	ნავთობ-პროდუქტები	ელ. ტექნიკა	მეტალ. პროდუქტები	ტექსტილი

ასევე განვიხილოთ ხაშურის მუნიციპალიტეტი, თუ რომელი სექტორებია განვითარებული და რომლებშია ხაშურის მოსახლეობა დასაქმებული.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასაქმებულთა რიცხოვნობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით:

	2005	2006	2007	2008	2009
სამეწარმეო სფერო	16,7	17	18,4	20,5	23,2
სოფლის მეურნეობა	8,7	8,7	8,5	9,2	9,3
მრეწველობა	0,7	0,7	1,6	2,2	2,5
მშენებლობა	1	1,2	1,5	1,8	2,5
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	0,7	0,9	1,2	1,8	2,4
სასტუმროები და რესტორნები	0,4	0,4	0,5	0,6	0,7
ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა	2,1	2,2	2,2	2,3	2,4
ოპერაციები უძრავი ქონებით	0,3	0,3	0,3	0,2	0,2
განათლება	1,9	1,6	1,7	1,7	1,9
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	0,7	0,8	0,6	0,6	0,8
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	0,2	0,2	0,3	0,1	0,5

ეკონომიკურ თეორიაში არსებობს ეკონომიკური ზრდის ორი ძირითადი მიმართულება: ნეოკეინსური და ნეოკლასიკური. პირველი მიმართულება წარმოიშვა ჯ.მ. კეინსის იდეებზე დაყრდნობით, ხოლო მეორე მიმართულება ეყრდნობა ადამ სმიტის და ჯ.ბ. სეის იდეებს.

მაკროეკონომიკის ცენტრალური პრობლემა კეინსური თეორიისათვის არის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ეროვნული შემოსავლის დონეს და დინამიკას. ასევე მნიშვნელოვანია ბალანსის პოვნა დანაზოგებსა და მოხმარებას შორის, რაც განაპირობებს კიდეც ეკონომიკურ ზრდას. როგორც ვიცით, ჩაკეტილ ეკონომიკაში (როცა ქვეყანა სხვა ქვეყნებთან არ ვაჭრობს) დანაზოგები ინვესტიციების ტოლიას, ასევე ეს გარკვეული ფორმით ლიბერალური ეკონომიკის ქვეყნებსაც შეეხებათ. თუკი დაგროვება აღემატება ინვესტიციებს, მაშინ ეკონომიკა ვერ იყენებს სრულად თავის პოტენციალს ზრდის მისაღწევად. თუკი ინვესტიციები აღემატება დანაზოგებს, მაშინ ეს მიგვიყვანს ეკონომიკის „გადახურებისკენ", რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ინფლაცია და საგარეო ვალის ზრდა.

ნეოკეინსურ ეკონომიკურ მოდელებს შორის ყველაზე მეტად ცნობილია როი ჰაროდის და ევსეი დომარის მოდელი. მათი მოდელები ბევრ ასპექტში თანხვდება ერთმანეთს და ინვესტიციების და დანაზოგების ტოლობას ეყრდნობა (S=I). გრძელვადიან პერსპექტივაში, გარკვეული მიზეზების გამო, ყველა დანაზოგი ინვესტიციად არ გარდაიქმნება. ჰაროდის მოდელში ასახულია კავშირი 3 ცვლადს შორის: ფაქტიური (G), ბუნებრივი (G_n) და გარანტირებული (G_w) ზრდის ტემპები. ამოსავლად მიჩნეულია ფაქტიური ზრდის ტემპის განტოლება:

$GC=S_Y$

G აღნიშნავს დამოკიდებულებას შემოსავლის ზრდას შორის საბაზისო პერიოდში ($G = \Delta Y / Y$).

G — კაპიტალტევადობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებას ინვესტიციასა და შემოსავლის ცვლილებას შორის. ($C = I / \Delta Y$);

S_Y — დანაზოგების წილი ეროვნულ შემოსავალში.

წარმოებიდს მდგრადი ზრდის ტემპი, რომელსაც უზრუნველყოფს მოსახლეობისა და სამუშაო ძალის ზრდა, ჰაროდი უწოდებს ბუნებრივ ზრდის ტემპს. ზრდის მესამე ფაქტორს ჰაროდი უწოდებს კაპიტალის დაგროვებას და კაპიტალტევადობის კოეფიციენტს. რაც უფრო მაღალია დანაზოგების რაოდენობა, მით უფრო მაღალია ინვესტიციების მოცულობა და ეკონომიკური ზრდის ტემპი. ჰაროდის განტოლება, რომელიც ბუნებრივი ზრდის ტემპს ასახავს, შემდეგნაირად გამოიყურება: $G_N*C_r=$ или $=S_y$.

სადაც SY - დანაზოგია.

კეინსისგან განსხვავებით ჰაროდმა ეკონომიკური ზრდის ტემპზე შემოიტანა ისეთი ცვლადები, როგორიცაა მოსახლეობის ზრდა, ტექნოლოგიური პროგრესი და კაპიტალტევადობის კოეფიციენტი.

ნეოკლასიკური თეორიის ცენტრში დგას წონასწორობის იდეა, რომელიც ემყარება ოპტიმალურ საბაზრო სისტემას, რომელიც განხილულია როგორც თვითრეგულირებადი მექანიზმი და გვაძლევს საშუალებას საუკეთესოდ გამოვიყენოთ არსებული ფაქტორები ეკონომიკაში. განსაკუთრებული წვლილი ნეოკლასიკურ თეორიაში შეიტანა რობერტ სოლოუმ, რომელმაც ნობელის პრემია მიიღო აღნიშნული ნაშრომისათვის. მან გამოიყენა კობ-დგლასის საწარმოო ფუნქცია და დაამატა კიდევ ერთი ფაქტორი - ტექნოლოგიები. მისი მოდელი შემდეგი ფორმისაა:

$Q=T*F(K,L)$, სადაც Q— პროდუქციის გამოშვებაა; K— ძირითადი კაპიტალი; L— გამოყენებული შრომა; T — ტექნოლოგიური განვითარების დონე; F (K,L)— კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქცია.

მარტივად რომ ვთქვათ ეს საწარმოო ფუნქცია გვიჩვენებს, თუ რა დამოკიდებულაა წარმოების მოცულობასა და გამოყენებულ ფაქტორებს შორის. ეს მოდელი ეფუძნება მასშტაბის ეკონომიას, ანუ თუკი წარმოებას გავზრდით, მაშინ ხარჯები შემცირდება.

სოლოუს მიხედვით ინვესტიციები და კაპიტალი დამოკიდებული არიან სხვა ფაქტორებზე. იმ შემთხვევაში, თუკი მოსახლეობის რაიდენობა გაიზრდება, მაშინ იზრდება ძირითადი კაპიტალის ცვეთა და საჭირო ინვესტიციები, რათა ეკონომიკური ზრდა არ შენელდებს და დაბალანსებული იყოს. მისი მოდელის მიხედვით ტექნოლოგიური პროგრესი არის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს უწყვეტ ეკონომიკურ ზრდას.

დასავლეთის ქვეყნებში დღესდღეობით გავრცელებულია „ნულოვანი ეკონომიკური ზრდის" კონცეფცია. იგი დაკავშირებულია იმასთან, მოსახლეობის ზრდის ტემპი შენელებულია და გაზრდილია HTP ბაზაზე წარმოება. ამ კონცეფციის მიმდევრები თვლიან, რომ ეკონომიკური ზრდა იწვევს ბიოსფეროს დაზიანებას და ზღუდავს ბუნებრივი რესურსების მოცულობას.

კიდევ ერთი კონცეფცია შემოგვთავაზა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა დენი როდრიკმა. როდრიკის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ორ საფუძველს შეიძლება დაეყრდნოს (თუ გამოვრიცხავთ ბუნებრივ რესურსებს). პირველი ფუნდამენტური შესაძლებლობების ჯამური აკუმულირებაა. ასეთ დროს ვითარდება ადამიანური და ფიზიკური კაპიტალი, ასევე, ინსტიტუტები და ინფრასტრუქტურა. ყოველივე ეს ნელი და ხარჯიანი პროცესია. სხვადასხვა ფაქტორი ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული და მათი სრული გამოვლენა მაშინ ხდება, როდესაც ისინი უკვე საკმარისად დაგროვდება. მეორე საფუძველს სტრუქტურული ტრანსფორმაცია წარმოადგენს, რომლის დროსაც ახალი მაღალპროდუქტიული დარგების შექმნა და სამუშაო ძალის დაბალპროდუქტიულიდან მაღალ პროდუქტიულ აქტივობაში გადაყვანა ხდება. აღნიშნული შედარებით სწრაფი პროცესია და ყველა ე.წ. „ეკონომიკური სასწაული" სტრუქტურული ტრანსფორმაციის შედეგია, როდესაც ზრდა დაბალი ფუნდამენტური შესაძლებლობების პირობებში ხდე ბა. თუ ეკონომიკური ზრდის პირველ საფუძველს საკმაოდ ფართო და ყოვლისმომცველი ინვესტირება სჭირდება, სტრუქტურული ტრანსფორმაციის შემთხვევაში საჭიროა უფრო მცირე, მაგრამ მიზნობრივი ინვესტიციები (მაგალითად, ევროპული სწრაფი ეკონომიკური ზრდა – თეორიული არგუმენტები კომპანიასთან კონკურენციის გასაწევად არ არის აუცილებელი ისეთივე ჯამური ინსტიტუციური ხარისხი). სტრუქტურული

(დასასრული V გვერდზე)

(დასასრული)

ეკონომიკური ზრდა

ტრანსფორმაცია იმ ფუნდამენტური ფაქტორების სისუსტის კომპენსაციას ახდენს,რაც განვითარებადი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. ეკონომიკის განვითარებასთან ერთად განსხვავება აღნიშნულ ორ გზას შორის ქრება და ეკონომიკური ზრდისთვის ფუნდამენტური ფაქტორი ხდება განმსაზღვრელი. საბოლოოდ, ეკონომიკური განვითარების მაღალ ეტაპზე, თუ ფუნდამეტური ფაქტორების აკუმულირება არ მოხდა, მხოლოდ სტრუქტურული ტრანსფორმაციით ზრდა ვეღარ მიიღწევა. თავის მხრივ, ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის მიღწევაში სახელმწიფოს ჩარევის წინაპირობა „ბაზრის ჩავარდნის“ არსებობაა. როდ რიკის თანახმად, ინტერვენციის არგუმენტები პირობითად შემდეგ ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ:

1. ხარჯების სტრუქტურის იდენტიფიკაციის პრობლემა თავისუფალი ბაზრის მიერ;
2. კოორდინაციის პრობლემის გადაჭრა, რასაც ასევე, როგორც წესი, ვერ ახერხებს თავისუფალი ბაზარი.

პრაქტიკული მაგალითის სახით განვიხილოთ მემწვანილეობის ხელშეწყობა იმერეთში. რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს შემდეგ იმერეთში მოსავლის რეალიზაცია მნიშვნელოვნად შემცირდა. გასაღების ალტერნატიული ბაზარი ევროპაა. თუმცა, ამ მიმართულებით ექსპორტი რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რაც ზემოთ აღწერილ კოორდინაციისა და ხარჯების სტრუქტურის იდენტიფიცირების პრობლემებში გამოიხატება. საკუთრივ:

- არ არსებობს პირდაპირი სატვირთო ავიარეისი ქუთაისიდან ევროპის მიმართულებით. რეგულარული რეისის დანიშვნის შემთხვევაში, ავიაკომპანიისთვის საჭვოა მაღალი დატვირთულობა მიმწოდებლის მხრიდან;
- მწვანილის ბაზარზე უამრავი მცირე ზომის მწარმოებელია და ცალკე რომელიმე მათგანს არ შეუძლია თვითმფრინავის შევსების უზრუნველყოფა. მათ გაერთიანებას და დამატებით ინვესტირებას ხელს უშლის ხარჯების იდენტიფიცირების პრობლემა – პრაქტიკის არარსებობის გამო. ევროპაში ექსპორტი დიდ რისკებთან არის დაკავშირებული, ხოლო იდეა – მიუწვდომელი. ამავე მიზეზით, კომერციული ბანკები დაფინანსებისაგან თავს იკავებენ;
- ევროპაშიც მსხვილი დისტრიბუტორებისთვის საქართველო ახალი მომწოდებელია. შესაბამისად, ქვეყანას სიფრთხილით ეკიდებიან და შეფერხებების თავიდან ასაცილებლად გარანტიებს ითხოვენ;
- მოსაგვარებელია საექსპორტო საქონლის ხარისხის დაცვის საკითხიც. არსებული ლაბორატორია მსხვილი მასშტაბებისთვის არასაკმარისი და გადასაიარაღებელია. თუმცა, სანამ წარმოება მცირეა, ინვესტირება არ იგეგმება;
- ევროპის მიმართულებით ექსპორტისათვის მეწარმეებს შესაბამისი სტანდარტის სერტიფიკატები დასჭირდებათ (GAP), რაც ერთი მხრივ, მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული და, შესაბამისად, ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის. მეორე მხრივ, თუ ყველა სხვა ზემოთ ჩამოთვლილი პირობა არ შესრულდა, აღნიშნული სერტიფიკატის აღების საჭიროება არ დგას;

საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო ზედამხედველობა სტანდარტების დაცვაზე, რაც, ერთი მეწარმის არაკეთილსინდისიერი ქცევის შემთხვევაშიც კი, მთელ დარგს საფრთხის წინაშე აყენებს.

ამ პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია შემდეგი მექანიზმით: იმ შემთხვევაში, თუ არსებული გათვლებით სრულად დატვირთული თვითმფრინავი მომგებიანია, პირველ ეტაპზე სახელმწიფოს სუბსიდირებით (დროებით თვითმფრინავის შეუვსებელ ნაწილზე) დაინიშნოს სატვირთო ავიარეისი, რომლის საჭიროებაც წარმატების შემთხვევაში აღარ იქნება. ასევე, უნდა დაფინანსდეს ლაბორატორიისა და საჭირო ტექნოლოგიის განახლება, ხოლო, წარუმატებლობის შემთხვევაში, აუცილებელია პროექტის შეწყვეტა ნაწილობრივი კომპენსაციებით.

გიორგი ბარბარიანი,
თსუ ბიზნეს-ადმინსტრირების III კურსის სტუდენტი

(დასასრული)

სახელმწიფოსათვის თითოეულ მოქალაქეზე ზრუნვა ნომერ პირველი პრიორიტეტია

მეორე ჯგუფი მნიშვნელოვნად გამოხატული, ხოლო მესამე ზომიერად გამოხატულია. მესამე ჯგუფზე ფულადი გასაცემელი არ არის, გარდა იმათი, ვისაც ჰქონდათ, ან შეუნარჩუნდათ, ესაა 70 ლარი, მეორე ჯგუფის შემთხვევაში 100, ხოლო პირველ ჯგუფზე 160 ლარია. გაიოლებულია ბიუროკრატია, ასაკის პენსიის დანიშვნაც ძალიან მარტივად, მოკლე დროში ხდება. გვაქვს პროგრამები, რომელიც მათთვის ხელჯოხების, პროტეზების, ეტლების გადაცემას ითვალისწინებს.

-ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიმდინარე წელს პენსიის ზრდა უკვე დააანონსა, წელს, ან მომავალში იქნება თუ არა სტაჟიანისა და სტაჟის არმქონე მოქალაქეებს შორის საპენსიო სხვაობა?

–ამჟამად ასაკის პენსია 160 ლარია, ივლისის თვიდან მოხდება საპენსიო დანამატის გაზრდა 20 ლარით. 2011 წელს იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც არ ხდება შრომის და სტაჟის მიხედვით განსხვავება. გარდა ამისა, საგანმანათლებლო სფროში დასაქმებულებს, შეუძლიათ იმუშაონ და ხელფასთან ერთად მიიღონ ასაკობრივი პენსია. არის ასაკის პენსია-კომპენსაციაც. კომპენსაციის სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძველია: კანონით დადგენილი ნამსახურების ვადის ამოწურვა, 65 წლის ასაკის მიღწევა და მარჩენალის გარდაცვალება. პენსია-კომპენსაციის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს.

არ გვინდა ვინმემ ისე გაიგოს, რომ ქვეყანაში სოციალური პრობლემები მოგვარებულია და ჩვენ ამის ჩვენებას და ვინმესთვის თვალის ახვევას ვცდილობთ. თუმცა, პროცესები რომ არა მარტო დაწყებულია, არამედ სახელმწიფოს ზრუნვა და ფინანსები აქეთაა მიმართული, ალბათ უკვე ნათელი გახდა. მთვარი იმისი შეგნება და განცდაა, რომ სახელწიფოსთვის თითოეული მოქალაქე მნიშვნელოვანია და მისი კეთილდღეობა ნომერ პირველი პრიორიტეტია.

თ. ჯავახიშვილი

ზრუნვა სოფელზე - ქვეყანაზე ზრუნვას ნიშნავს

ბოლო წლებია სახელმწოფო და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ცდილობენ პრიორიტეტები სოფლის განსავითარებლად დასახონ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილია თანხები სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად. მაგალითად ადგილობრივი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა–რეაბილიტაციისათვის, როგორებიცაა სოფლის გზის შეკეთება, მოსახლეობისათვის სასმელი წყლით მომარაგება, სარწყავი არხების მოწესრიგება და ა.შ. გამომდინარე იქიდან,რომ საქართველოში სოფლის პრობლემების მოგვარება ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქვეყნის განვითარებისათვის, რადგან ძლიერი სოფელი ძლიერ ქვეყანას ნიშნავს, ადგილობრივი ხელისუფალნი მზად არიან ძალები აღნიშნული პროგრამის ხელშეწყობისკენ მომართონ. ჩვენ გავესაუბრეთ ხალების ტერიტორიული ორგანოს მაჟორიტარ დეპუტატს **ნოვე ტაბატაძეს**, რომელმაც გაზეთთან ისაუბრა სოფელში ჩატარებული სამუშაოების შესახებ:

–ხალების ტერიტორიული ორგანო მოიცავს 6 სოფელს: მღვრია წყალი, ხალები, პატარა ხალები, დართა, სარტყელა და ალექსანდრეს წყარო. ტერიტორიული ორგანოს ფართობი დიდიაა,თუმცა მოსახლეობა მცირეა,300 მოსახლეს არ აღემატება,ამომრჩეველი კი სულ 80. უმთავრესი პრობლემა, რაც ამ სოფელებს აწუხებდა წლების განმავლობაში, ეს იყო ელექტროენერგიის არარსებობა. მთელი 23 წლის განმავლობაში ამ სოფლებს არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია. შედარებით ადრე, ჩემი გამგებლობის პერიოდში, ერთ-ერთი ინვესტორის დახმარებით სოფელ მღვრიე წყალსა და დიდ ხალებში აღდგა ელექტროენერგიით მომარაგება. მოგვიანებით ხელისუფლებამაც იზრუნა მიტოვებული სოფლისათვის და 2013 წლისათვის მოხდა სოფელ დართის ელექტროფიცირება, ნავარაუდვი იყო, სოფელს სარტყელას ელექტროფიცირებაც, თუმცა გაუარესებული ამინდების გამო სამუშაოები ვერ შესრულდა. 2015 წელს კი ეს პრობლემა მოეხსნა ამ სოფელებს, გამგებლის, ბატონ გიორგი გურასპაშვილის უშუალო ინიციატივით და ხელშეწყობით გაყვანილია კილომეტრზე მეტი მანძილის ელექტროენერგიის ხაზები და ამჟამად ველოდებთ მრიცხველების ამუშავებას. სოფლის პროგრამის ფარგლებში, ყოველწლიურად მიმდინარეობს გზების მოხრეშვა, გზების დაპროფილება და საწრეტი არხების გაკეთება. სოფელ დართაში მიმდინარეობს ძველი აუზის რეაბილიტაცია და შემდგომში, მილების დახმარებით წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი იქნება ყველა სოფელი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გარე განათება მოეწყო 5 სოფელში სარტყელას გარდა, თუმცა უახლოეს მომავალში იქაცაა დაგეგმილი. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად ჩვენ 5 სოფელს: დართა, პატარა ხალები, ალექსანდრეს წყარო და სარტყელას მიენიჭა მაღალმთიანი სოფლების სტატუსი, რომლის შემდეგაც რიგი შედავათებით ისარგებლებს ადგილობრივი მოსახლეობა. მაგალითად სოფელ სარტყელაში, საიდანაც მე ვარ წარმოშობით, 1992 წლიდან არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია. რის შედეგადაც მოხდა მოსახლეობის მიგრაცია, დღესდღეობით სულ 7-8 ოჯახია დარჩენილი, როცა კომლების რაოდენობა 21 აღწევდა. ვიმედოვნებ, რომ სოფლისათვის მაღალმთიანის სტატუსის შემდეგ მოსახლეობა თავიანთ ადგილებს დაუბრუნდება და სოფელი დაიბრუნებს ჩვეულ იერს. მოსახლეობას, რეგისტაციის გავლის შემდეგ, შესაძლებლობა ექნებათ აღნიშნული პროგრამით სარგებლობისა. შეძლებისდაგვარად, მეც ვეხმარები ჩემ თანასოფლელებს საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებაში. მაგალითად თუ საარქივო მასალაა მოსაძიებელი და ა.შ.

ჩვენ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ რომ რეგისტაციისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა: საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლი, ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და ასევე ჯამში 9 თვის, ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტები. საჭიროა ასევე სტატუსის მინიჭების მიზნით, ფიზიკურმა პირმა განცხადებით მიმართოს მუნიციპალიტეტის გამგებელს.

თ. ახალკაცი

(დასასრული)

ინოვაციის ცენტრი ხაშურშიც შეიქმნება

მოსახლეობაც აღემატება 200 ადამიანს. ამ მიზნისათვის, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ქვეშ შეიქმნა არაკომერციული იურიდიული პირი “Open Net”-ი, რომელიც იქნება ნეიტრალური ღია დაშვების პრინციპით მომუშავე ოპერატორი. პროექტის განხორციელების შედეგად, მთელი საქართველოს მასშტაბით გაიზრდება კონკურენცია და მომხმარებლებს ექნებათ ინტერნეტ ოპერატორების შეუზღუდავი არჩევანი, რაც რეგიონებისა და მათი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია. საინფორმაციო კავშირგაბმულობა, ტექნოლოგიები და ინოვაციები ერთ-ერთი სწრაფად მზარდი დარგია, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და წინსვლა წარმოადგენს ქვეყნაში ცოდნაზე და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების აუცილებელ პირობას.

ზოგიერთ ქვეყანაში, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა უკვე ადამიანის ძირითად უფლებადაა აღიარებული. საქართველო ამ ნაბიჯით განვითარებული ქვეყნების რიგებს კიდევ უფრო მიუახლოვდება.

შეხვედრის მიმდინარეობის დროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა ცალსახად დაუჭირა მხარი აღნიშნული პროექტის განხორციელებას ჩვენს რაიონში და წარმომადგენლებს შესთავაზა მუსიკალური სკოლის შენობაში შესაბამისი ფართი ინოვაციების ცენტრის მოსაწყობად.

პროექტი მართლაც ინოვაციურია. ახალგაზრდებს და არამარტო, ფართო შესაძლებლობები ეძლევათ საკუთარი თავის განვითარებისათვის, ცოდნის გასაღრმავებლად, ბიზნესის დაგეგმარებისათვის საჭირო იდეების რეალიზაციისათვის, კომპიუტერულ პროგრამების დაუფლებისათვის, და სხვა.

თ. ახალკაცი

ქალთა ფორუმის მესამე კონფერენცია

ამ დღეებში, თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, გაიხსნა საქართველოს საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის მესამე კონფერენცია “გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად”. ადგილობრივ თვითმმართველობაში მოღვაწე ქალბატონები შეხვდნენ საქართველოს პარლამენტისა და ცენტრალური ხელისუფლების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მ მოისმინეს საკრებულოს წევრი ქალების ფორუმის სამუშაო ჯგუფის წლიური ანგარიში, სამომავლო გეგმა და პროგრამები.

გაიმართა დისკუსიები ისეთ თემებზე, როგორიცაა: „ქალების როლი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში“, ქალების როლი არჩევით თანამდებობაზე“, „გენდერული კვოტა პრაქტიკაში“ და სხვა. აღნიშნულ კონფერენციას ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობიდან სამი ქალბატონი ესწრებოდა: სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირინე გელაშვილი, მანანა კაპანაძე და ირინე გრიგალაშვილი.

``ბიგ-რაუნდის” მარათონი დაიწყო

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით და გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, 23 თებერვალს, ხაშურის მეშვიდე საჯარო სკოლაში გაიმართა ინტელექტუალური კონკურსი „ბიგ-რაუნდი“ სპორტული ხაზით.

კონკურსში მონაწილეობას მუნიციპალიტეტის 21 სკოლა იღებს, დაგეგმილია კვირაში ერთჯერ ჩატარდეს თითო ასპარეზობა. თამაშის პრინციპიდან გამომდინარე, თითოეულ საკონკურსო დღეს ორი გუნდი დატოვებს შეჯიბრს. „ბიგ რაუნდის“ ნახევარფინალი 29 მარტიდან დაიწყება, ხოლო ფინალი-19 მაისს გაიმართება.

ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს"

24 თებერვალს, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივით, აღინიშნება წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე.

ხაშურის მუნიციპალიტეტი შეუერთდა აქციას და ხაშურის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრმა გამართა ღონისძიება „ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს“, სადაც ცენტრის აღსაზრდელებმა რუსთაველის უკვდავი პოემა წაიკითხეს.

გიწვევთ ტარიელ ხარხელაურის საღამოზე



ხვალ, 1 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და კულტურის სამსახურის ინიციატივით, სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართება შეხვედრა ცნობილ პოეტთან ტარიელ ხარხელაურთან. დასაწყისი 18:00 სთ. დასწრება თავისუფალია.

დღეს დედამიწა ბავშვის ღიმილში გახვეულა და სივრცეში მიჰქრის.

მ. სალაღაძის ფოტოები

ნიკო ლუქუნიძის ხსოვნას

***

მზე მოაფრქვევს თაფლის სურნელს,
ზენიტში დგას ის, ღვთის ხატი.
ლაინისფერს, ზღაპარს ხლართავს
ცაცხვის მხრების ელეგანტი...
უნაზესი ფრთენით ჩარჩა
სულში, გრძნობა ანანთები...
ხან გოლგოთის განცდა მძალავს,
ზოგჯერ – ამაღლების მთების.
მიხმობს ტაძრის დედო-ზარი,
–გაბზნილ სულის საგოზავი.
ცისკრის ლოცვა ცამდე ადის
და დღეის დღეს დავუზავდი.
ქუჩას გასდევს ცაცხვის კანტი...
ზენიტში დგას, მზე-გიგანტი!
მაგონდება, ციდან ცამდე
ფართო, მხრების
ელეგანტი...

***

დუმს ნათოვარი ჯავრის მინდორი.
შენს ბილიკს ჩუმი ტერფი ჩაწვნია...
ჩამოქნილები-ჩამოწნულები
წელიწადები, ისევ წადიან...
დუმს, ნათოვარი ჯავრის
მინდორი.

გეჩურჩულები: მართლა
გწადია
თოვლის საბანი... ან, მიწის
დორი?...
-ფანტელი, ქარმა მიმოარწია.
დუმს ნათოვარი ჯავრის მინდორი.
სულის სიმები მძლავრად დაწია,
მწუხარე იქმნა ცა-საფირონი...
-შენს ბილიკს ჩუმი ტერფი ჩაწვნია...
დუმს ნათოვარი ჯავრის მინდორი.

ლეილა ჭახვილაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

აქ ყველაფერი გაგაოცებთ

მობრძანდით!

D

ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, №22-ში, უკვე 4 წელია ფუნქციონირებს „კულინარი 2012“, რომელშიც ადგილზე დამზადებულ 30

დასახელების პროდუქციას შემოგთავაზებენ .

ჯერ კიდევ გარედან იქცევს ყურადღებას ეს ნათელი, სუფთა, კოპწია შენობა, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს ცენტრალური შესასვლელის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარეობს. შესვლისთანავე გაგაოცებთ აქ შექმნილი სისუფთავე, სიმყუდროვე, სიმშვიდე, მაქსიმალური კომფორტი და, რაც მთავარია, აქაური ნამზადის გემო, მრავალფეროვნება და ხარისხი.

არც ისე ვართ განებივრებული ისეთი ადგილებით, სადაც ყოველდღიურობით გადაღლილნი სულის სიმყუდროვეს ვიპოვით, სადაც თბილად

მიგვიღებენ, გაგვიღიმებენ, მოგვემსახურებიან, სადაც მიმზიდველ, მშვიდ, მყუდრო, სუფთა გარემოში დაივანებთ დამაშვრალნი. დანაყრდებით, გახალისდებით, სტუმარსაც მიიყვანთ, გაუმასპინძლდებით, დაბოლოს, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

სწორედ ასეთი გარემოა აქ და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს,სადაც მთელი ხაშურის მაჯისცემა იგრძნობა, აქაური სიმშვიდე და სიწყნარე იდეალური დასვენების საშუალებას იძლევა. აქ მართლაც სიამოვნებით წაიყვან სტუმარს, როცა ყველაზე მეტად გინდა, გამოიჩინო თავი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით.

კომპანია მთლიანად აღჭურვილია ცნობილი იტალიური ბრენდის დანადგარებით. აქ დასაქმებულია 10 ადამიანი. მომუშავე პერსონალს პროფესიების მიხედვით გავლილი აქვთ სტაჟირება.

პროდუქციის მომზადებაში იყენებენ უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს. მომხმარებელს უფლება აქვს, თვითონ იხილოს, დაესწროს, თუ როგორ მზადდება პროდუქცია შენობის ქვედა სართულზე. ყველაფერი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომაც აირჩია კომპანიამ სლოგანი „ყოველთვის გემრიელია“, რომელიც 100%-ით ამართლებს მისი საქმიანობის შედეგს. მომხმარებელმა იცის, რომ ყოველდღიურად ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის გარეცხვა, გასუფთავება, სტერილიზაცია. სწორედ ამიტომ „კულინარი 2012“-ის ხშირი სტუმრები არიან როგორც ქ. ხაშურის მოქალაქეები, ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ბევრი ცნობილი სახე.

მოგეწონებათ!

საბჭოთა კავშირის 7 საოცრება:

1. ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი
2. მიუხედავად იმისა,რომ ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი არავინ არ მუშაობდა
3. მიუხედავად იმისა, რომ არავინ არ მუშაობდა გეგმა 100% სრულდებოდა
4. მიუხედავად იმისა, რომ გეგმა 100% სრულდებოდა, მაღაზიებში მაინც არაფერი არ იყო
5. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიებში არაფერი არ იყო მაინც ყველას ყველაფერი ჰქონდა
6. მიუხედავად იმისა, რომ ყველას ყველაფერი ჰქონდა მაინც იპარავდნენ
7. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს იპარავდნენ მაინც ყველას ყველაფერი ყოფნიდა.

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტ-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.